


შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება

„პრაიმ ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

2018
წელი



შინაარსი:

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში
2. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
3. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
4. სრული შემოსავლის ანგარიშგება
5. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
6. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
7. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	2 279 360	2 478 869
სულ გრძელვადიანი აქტივი		<u>2 279 360</u>	<u>2 478 869</u>
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური	5	249 262	252 867
ფასეულობები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	111 564	58 006
საგადასახადო მოთხოვნები	7	718	7 299
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	8	74 135	79 432
სულ მიმდინარე აქტივები		<u>435 679</u>	<u>397 604</u>
სულ აქტივები		<u>2 715 039</u>	<u>2 876 473</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		1 771 368	1 667 641
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		936 777	693 721
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>2 708 145</u>	<u>2 361 362</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	9	-	241 725
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			<u>241 725</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	6 877	6 572
გრძ. სესხის მიმდინარე ვალდებულება		-	266 535
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	17	279
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>6 894</u>	<u>273 385</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>2 715 039</u>	<u>2 876 473</u>

დირექტორი

მ. ბოგიშვილი

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2018	31.12.2017
ამონაგები	12	863 325	818 599
კაპიტალიზებული შემოსავლები		-	87 312
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		(3 605)	12 273
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეძენა		(1 653)	(23 422)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(157 100)	(167 000)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(216 226)	(217 974)
შეძენილი მომსახურების ხარჯი	13	(27 421)	(74 284)
საგადასახადო ხარჯი		(41 816)	(42 548)
სხვა ხარჯი	14	(7 028)	(8 344)
		408 476	384 612
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან			
საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი	15	18 627	11 475
ფინანსური ხარჯი		(13 992)	(58 699)
		413 111	337 388
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე			
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		413 111	337 388

დირექტორი

მ. ბოგიშვილი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელ ი მოგება- ზარალი	სულ კაპიტალი
31.12.2016 წაშთი	1 769 081	446 333	2 215 414
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	(101 440)	-	(101 440)
გაცემული დივიდენდი	-	(90 000)	(90 000)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	337 388	337 388
31.12.2017 წაშთი	1 667 641	693 721	2 361 362
გასული პერიოდის შესწორება	-	(5)	(5)
გადაანგარიშებული წაშთი	1 667 641	693 716	2 361 357
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	103 727	-	103 727
გაცემული დივიდენდი	-	(170 051)	(170 051)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	413 111	413 111
31.12.2018 წაშთი	1 771 368	936 777	2 708 145

დირექტორი

მ. ბოგიშვილი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	31.12.2018	31.12.2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	810 686	838 324
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(33 580)	(53 788)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(126 280)	(102 700)
<i>საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები</i>	650 826	681 836
გადახდილი გადასახდების დაბრუნება	-	-
გადახდილი გადასახდები	(69 400)	(64 674)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	581 426	617 162
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(16 722)	(74 531)
მიღებული/გადახდილი დივიდენდი	(170 051)	(90 000)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(186 773)	(164 531)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის შევსება/შემცირება	103 727	(101 440)
სესხის მიღება/დაფარვა	(482 796)	(236 299)
სესხის პროცენტის დაფარვა	(14 244)	(58 437)
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	1 930	4 425
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(8 567)	(15 588)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(399 950)	(407 339)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრადა/შემცირება	(5 297)	45 292
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	79 432	34 140
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	74 135	79 432

დირექტორი

მ. ბოგიშვილი

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და
განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს „პრაიმ ენერჯის“ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას. საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

შპს „პრაიმ ენერჯი“ (შემდეგში საწარმო) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას რომელიც ფუნქციონირებს საქართველოში, რეგისტრირებულია სამეწარმეო და საგადასახადო რეესტრში 2010 წლის 17 ნოემბრიდან და წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს. საწარმოს საიდენტიფიკაციო ნომერია 404390538; იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ბესიკის ქ.#4, ბინა #48, ხოლო საწარმოს ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, ანდრია აფაქიძის ქ. #7, ბინა #6,

საწარმოს მფლობელი (პარტნიორი) არის ერთი იურიდიული პირი, შპს „მცირე ენერჯი“ რომელიც ფლობს წილის 100%-ს. საწარმოს მფლობელს საწესდებო კაპიტალის შევსებული აქვს და მას კაპიტალის შევსების ვალდებულება არ აკისრია.

შპს „პრაიმ ენერჯი“ საქართველოში რეგისტრაციის დღიდან ეწევა ელექტროენერგიის გენერაციას (ჰიდროელექტრო-სადგური მდებარეობს ყვარელის რ-ნის სოფ. საბუეში მდ. ინწობაზე). საწარმო გამომუშავებულ ელექტროენერგიას აწვდის პირდაპირ მომხმარებელს და ასევე ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორს. საზოგადოება უფლებამოსილია განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, შესყიდვა, რეალიზაცია, ექსპორტი, იმპორტი და სხვა.

საწარმოს საქმიანობა რეგულირდება სპეციალური საკანონმდებლო-ნორმატიული აქტებით.

საწარმოს საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხავდასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით.

2. ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები ძველ სტანდარტებში და ინტერპრეტაციები

2.1 ძალაში შესული ახალი ფასს-ი, რომელიც გამოყენებული ფინანსური ანგარიშგების მოსაზადებლად

საწარმომ პირველად გამოიყენა ფასს 15 „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ და ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის.

ფასს 15-მა „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ და „ფასს 15-ის „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ განმარტებებმა (შემდგომში „ფასს 15“) ჩაანაცვლა ბასს 18 „ამონაგები“, ბასს 11 „სამშენებლო კონტრაქტები“ და შესაბამისო ინტერპრეტაციები.

ფასს 15-ზე გადასვლის რეკომენდაციიდან გამომდინარე დაშვებულია მისი რეტროსპექტულად გამოყენება იმ ხელშეკრულებებისათვის, რომელიც არაა დასრულებული 2018 წლის 1 იანვრისათვის. ამ დაშვების გამოყენებით საწარმოს არ დასჭირვებია 2018 წლის 1 იანვრით არსებული ფინანსური ინფორმაციის გადაანგარიშება, რადგან ახალი სტანდარტის გამოყენებას არ გამოუწვევია მისი შეცვლის აუცილებლობა.

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ ანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები, აღიარება და შეფასება“. ის იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს წინა ვერსიის მითითებებში, რომელიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და შეფასებას ეხება და აწესებს „ფინანსური ინსტრუმენტების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ მოდელს ფინანსური აქტივების გაუფასურების აღსარიცხად.

ფასს 9-ის მიღებით საწარმომ გამოიყენა ახალ სტანდარტზე გადასვლის პერიოდი და აირჩია არ გადახედოს წინა პერიოდებს. ფასს 9-ის შემოღებას არ გამოუწვევია კლასიფიკაციის, შეფასებისა და გაუფასურებასთან მიმართებით ცვლილება და შესაბამისად, გაუნაწილებელი მოგების კორექტირება.

2.2 ახალი და შესწორებული ფასს, რომლებიც არაა შესული ძალაში

სტანდარტი და ინტერპრეტაციები, რომელიც საწარმოს ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის გამოცემულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა და რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაზე, მოცემულია ქვემოთ. საწარმო ამ სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე. ხელმძღვანელობა არ მოელოა რომ სხვა ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 „იჯარა“

ფასს 16 „იჯარა“ ჩაანაცვლებს ბასს 17 „იჯარა“. ფასს 16-ის მიზანია მეიჯარეებისა და მოიჯარეების მიერ იჯარის ოპერაციის სამართლიანად წარმდგენი მართებული ინფორმაციის გამჟღავნების უზრუნველყოფა.

სტანდარტი არსებითად ცვლის იჯარასთან დაკავშირებული ოპერაციის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის პრინციპებს. ეს განსაკუთრებით ეხება მოიჯარის მიერ ფინანსური ინფორმაციის წარდგენას. ფაქტობრივად ერთნაირი მიდგომით დაექვემდებარება აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენას იჯარასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია მოიჯარის მხრიდან. ფინანსური იჯარა და ჩვეულებრივი იჯარა განხილული იქნება ერთ კონტექსტში. ასეთ კატეგორიებად იჯარის კლასიფიცირება არ მოხდება მეიჯარესთან. იჯარით მიღებული აქტივი აღიარებული იქნება გამოყენების უფლების ფორმით, ხოლო მასთან დაკავშირებული გადასახდელები, საიჯარო ვალდებულებების სახით. იცვლება მათი თავდაპირველი და შემდგომი შეფასების წესები. დამკვიდრდება გამოყენების უფლების ცვეთის ახლებური მიდგომა და მის პარალელურად გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა მოიჯარეს გამოყენების უფლების რეალური

ღირებულებით წარდგენა მოუწიოს ფინანსურ ანგარიშგებაში. გამოყენების უფლების სახით აღიარებული აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი იქნება სხვა აქტივებისაგან განცალკევებით.

იჯარის ფინანსურ და ჩვეულებრივ იჯარად კლასიფიცირების პრინციპი და სააღრიცხვო პოლიტიკა არსებითად უცვლელი დარჩება მეიჯარესთან.

აღნიშნული ახალი ფასს-ის შემოღების თანმდევი გახდა გადასინჯვის საფუძველზე ცვლილებების შეტანა მოქმედ სტანდარტებში, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს მოცემული ახალი სტანდარტების გამოყენების პარალელურად.

ფასიკ (IFRIC) 23-ის ინტერპრეტაცია „მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვევლობა“

ინტერპრეტაცია ეხება მოგების გადასახადების აღრიცხვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო დაბეგვრა შეიცავს გაურკვევლობას, რაც გავლენას ახდენს ბასს-12-ის გამოყენებაზე. იგი არ ვრცელდება ბასს 12-ის მოქმედების არეალის მიღმა მყოფ გადასახადებზე და მოსაკრებლებზე, ამასთან იგი არ მოიცავს კონკრეტულ მოთხოვნებს გარუკვევლობის შემცველ საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებული ჯარიმებისა და საურავების შესახებ.

ინტერპრეტაცია კონტრეტულად მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- საწარმო ინდივიდუალურად განიხილავს თუ არა გარკვეული საგადასახადო დაბეგვრის წესებს;
- დაშვებები, რომლებსაც საწარმო აკეთებს საგადასახადო ორგანოების მიერ გამოყენებული საგადასახადო დაბეგვრის შემონგმების შესახებ;
- როგორ განსაზღვრავს საწარმო დასაბეგრ მოგებას (საგადასახადო ზარალს), საგადასახადო ბაზებს, გაოუყენებელ საგადასახადო ზარალს, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტებს და საგადასახადო განაკვეთებს;
- როგორ განიხილავს საწარმო ცვლილებების შეტანას ფაქტებსა და გარემოებებში.

საწარმომ უნდა განსაზღვროს, გაურკვევლობის შემცველი თითოეული საგადასახადო დაბეგვრის შემთხვევა ცალკე განიხილოს, თუ, გაურკვევლობის შემცველ, ერთ ან მეტ საგადასახადო დაბეგვრასთან ერთად. ამას უნდა მოჰყვეს მიდგომა, რომელიც უკეთესად ახდენს გაურკვევლობის გადაწყვეტის პროგნოზირებას. ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდისთვის, თუმცა მასზე გადასვლის გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს. საწარმო ინტერპრეტაციას გამოიყენებს მისი ძალაში შესვლის თარიღიდან. საწარმოს მოლოდინით, ამ ინტერპრეტაციის გამოყენება არანაირ გავლენას არ მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს 9-ში: „საავანსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით.“

ფასს 9-ის მიხედვით, სავალო ინტრუმენტი შეიძლება შეფასდეს ან ამორტიზირებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იმ პირობით, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხის და ძირითადი თანხის დანჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდას“ („მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების“ კრიტერიუმი) და, რომ საწარმო ფლობს ინსტრუმენტს ამ კლასიფიკაციის შესაბამისი ბიზნესმოდელის ფარგლებში. ფასს 9-ში შესული ცვლილებები განმარტავს, რომ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების კრიტერიუმს მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა მოვლენა ან გარემოება, რომელიც

იწვევს კონტრაქტის ვადაზე ადრე შეწყვეტას და განურჩევლად იმისა, თუ რომელი მხარე იხდის ან იღებს გონივრულ კომპენსაციას კონტრაქტის ვადაზე ადრე შეწყვეტისთვის.

ცვლილებები გამოყენებულ უნდა იქნეს რეტროსპექტულად და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. ეს ცვლილებები არსებით გავლენას არ მოახდენს საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ყოველწლიური გაუმჯობესებების 2015-2017 წწ ციკლი (გამოშვებული 2017 წლის დეკემბერში)
მოიცავს შემდეგს :

ბასს (IAS) 12” მოგებიდან გადასახადები“

ცვლილებების მიხედვით, მოგების გადასახადის გავლენა დივიდენდებზე უფრო პირდაპირ უკავშირდება წარსულში მომხდარ გარიგებებს ან მოვლენებს, რომლებმაც წარმოქმნა გასანაწილებელი მოგება, და არა მფლობელებზე განაწილებებს. შესაბამისად, საწარმო აღიარებს მოგების გადასახადის გავლენას დივიდენდებზე მოგებაში ან ბარალში, სხვა შემოსავალში ან საკუთარ კაპიტალში იმისდა მიხედვით, თუ სად აღიარა საწარმომ თავდაპირველად ეს წარსულში მომხდარი გარიგებები და მოვლენები.

საწარმომ ეს ცვლილებები უნდა გამოუყენოს 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც. როდესაც საწარმო პირველად იყენებს ამ ცვლილებებს, მან ისინი უნდა გამოიყენოს უახლესი შედარებითი პერიოდის დასაწყისიდან აღიარებულ დივიდენდებზე მოგების გადასახადის გავლენის აღრიცხვისას. საწარმოს მიერ ეს ცვლილებები გამოყენებული იქნება ძალაში შესვლის თარიღიდან.

3. არსებითი სააღივცხო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საწარმოს სააღივცხო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

შესაბამისობის პრინციპი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრინციპები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. საწარმო არ ფლობს ისეთ ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასებაც უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით. ისტორიული ღირებულება, ჩვეულებრივ განისაზღვრება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადაცემული ანაზღაურების რეალური ღირებულებით. რეალური ღირებულება განისაზღვრება როგორც ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული გარიგების დროს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ საწარმო განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. საწარმოს მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია საწარმოსათვის.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საწარმოს სამუშაო ვალუტა არის ეროვნული ვალუტა „ლარი“. ვალუტა, რომლითაც განსაზღვრულია საწარმოს საქონლისა და მომსახურების გასაყიდი ფასები და რითაც ხდება ანგარიშსწორება. მოცემული ი ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენ ვალუტად გამოყენებულია ეროვნულ ვალუტა - ლარი.

ინვესტიცია შვილობილ საწარმოში

შვილობილ საწარმოში ფლობილი ინვესტიციები ფინანსური ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით.

შვილობილი საწარმოდან მიღებული დივიდენდები საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მაშინ, როდესაც დადგინდება საწარმოს დივიდენდების მიღების უფლება. აღნიშნული დივიდენდები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ამონაგები

ამონაგები წარმოიშობა საწარმოს მიერ წარმოებული ელექტროენერგიის გაყიდვის შედეგად. იმის დასადგენად აღიარდეს თუ არა ამონაგები, საწარმო იყენებს ხუთსაფეხურიან პროცესს:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- შესასრულებელი ვალდებულებების განსაზღვრა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება შესასრულებელ ვალდებულებებზე; და
- ამონაგების აღიარება, როდესაც შესასრულებელი ვალდებულება შესრულებული იქნება.

საწარმოს არ გააჩნია მრავალსაქეტირანი საქონლის მიწოდების ხელშეკრულება. მომხმარებელზე საქონლის მიწოდება ხდება უწყვეტ ნაკადად და მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების გათვალისწინებით ამონაგები გარიგების ფასის შესაბამისად აღიარდება ყოველი თვის ბოლოს.

გარიგების ფასი არის ანაზღაურების ის ოდენობა, რომლის მიღების უფლებას საწარმო მოელის, რომ მოიპოვებს მომხმარებლისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. გარიგების ფასი არ მოიცავს მესამე მხარის სახელით მიღებული თანხებს (როგორცაა, მაგალითად დამატებული ღირებულების გადასახადი).

დივიდენდი

საწარმოს შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, რომელიც ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

მოგების განაწილების შედეგად წილის მფლობელისათვის გადასახდელი დივიდენდი ჩაირთვება სხვა ვალდებულებებში, როდესაც მიღებული იქნება მოგების განაწილების გადანაცვლებები.

როდესაც საწარმო დივიდენდებს გასცემს კაპიტალის წილის მფლობელზე, მას ევალება დივიდენდების დაბეგვრა გადახდის წყაროსთან. გადასახადის თანხა, რომელიც გადაიხდება ან ექვემდებარება გადახდას საგადასახადო ორგანოებისათვის, აისახება საწარმოს საკუთარი კაპიტალში, როგორც დივიდენდების ნაწილი.

უცხოური ვალუტა

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარების დროს აისახება სამუშაო ვალუტით, ოპერაციის შესრულების თარიღისათვის სამუშაო ვალუტასა და მოცემულ უცხოურ ვალუტას შორის არსებული სპოტ სავალუტო კურსის მიხედვით.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებულ ფულად მუხლებს წარადგენს საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საწარმო არ ფლობს უცხოურ ქვედანაყოფში დაბანდებული ინვესტიციას. შესაბამისად საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულად მუხლებთან დაკავშირებული ანგარიშსწორებისას, ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში თავდაპირველი აღიარების დროს, ან წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მომუშავეთა გასამრჯელო

საწარმო დასაქმებულ პირებზე გადასხდელი გასამრჯელოს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია ხელფასთან, ფასიან შვებულებასთან და ბიულეტენთან, აღიარებს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას. მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება იმ თანხის არადისკონტირებული ოდენობით, რომლის გადახდასაც საწარმო აპირებს განეული მომსახურები-სათვის. ვალდებულების სახით აღიარებული მოკლევადიანი გასამრჯელო აღიარდება როგორც ხარჯი, თუ რომელიმე სხვა ფასს არ მოითხოვს, რომ გასამრჯელოები ჩაირთოს აქტივის თვითღირებულებაში. ანალო-გიურად, ანაზღაურებადი შვებულების სახით, დასაქმებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოებისთვის მოსალოდნელი დანახარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დაფიქსირდება სამუშაოზე არყოფნის ფაქტი.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მოგების გადასახადის თანხა, რომლის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა საანგარიშგებო პერიოდში მოგების განაწილების შედეგად. მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო განაკვეთების საფუძველზე. მიმდინარე მოგების გადასახადი მოიცავს საანგარიშგებო პერიოდში განაწილებული დივიდენდიდან გამომდინარე გადასახდელი მოგებიდან გადასახადის თანხას. საანგარიშგებო პერიოდში გამოცხადებული დივიდენდის განაწილებიდან წარმოშობილი გადასახდელი მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში დივიდენდის გამოცხადებისთანავე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელი იქნება აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, შეფასდება მისი თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს:

- ა) მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდამოკიდებულებისა და შეღავათების გამოკლების შემდეგ;
- ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მითანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;
- გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და აღდგენის დანახარჯების აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა საქმიანობისათვის, გარდა მარაგის წარმოებისა.

აქტივად აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების ერთეული აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს თანხა შედის სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	3-5%	
მანქანა-დანადგარები	10-20%	
საოფისე აღჭურვილობა	10-20%	
ავეჯი და მოწყობილობები	10-20%	
სატრანსპორტო საშუალებები	10-20%	სხვა ძირითადი
საშუალებები	10-15%	

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის პოლიტიკის გადასინჯვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. საწარმოს საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა. შემოსულობა არ კლასიფიცირდება როგორც ამონაგები. შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ერთეულის აღიარების შეწყვეტისას, განისაზღვრება, როგორც სხვაობა გასვლის ამონაგებსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო საზღვრავს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. რომელიც ვლინდება მაშინ, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია მის ანაზღაურებად ღირებულებაზე. ასეთის არსებობის შემთხვევაში, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას.

როდესაც მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლები აღმოჩნდება მის საბალანსო ღირებულებაზე, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და აღიარდება ხარჯის სახით მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

როცა გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ ადგილი ექნება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებულ შეფასებების ცვლილებებს და აღდება გაუფასურების ზარალი, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა გაიზარდოს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე ისე, რომ გაუფასურების ზარალის კომპენსირების შედეგად აქტივის გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას (ამორტიზაციისა და ცვეთის გამოკლებით), რომელიც მიღებული იქნებოდა, წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

მარაგი

საწარმოს მარაგი შეფასებულია მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა დამატებული ღირებულების გადასახადისა), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ყველა მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის საწარმო იყენებს საშუალო შენონილი ღირებულების ფორმულას.

მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის ნებისმიერი თანხა, აგრეთვე მარაგის დანაკარგის თანხები, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როცა მოხდა ჩამოწერა ან ადგილი ჰქონდა დანაკარგებს. მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა აღიარდება უკუგატარების პერიოდში ხარჯად აღიარებული მარაგის თანხის შემცირებად.

ფინანსური ინსტრუმენტები

საწარმო იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

საწარმო ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის ან როდესაც ფინანსურ აქტივს და პრაქტიკულად ყველა რისკს და ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს გადასცემს იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს და ფასს 15-ის შესაბამისად ფასდება გარიგების ფასით, საწარმო თავდაპირველი აღიარებისას ფინანსურ აქტივს და ფინანსური ვალდებულებას აფასებს რეალური ღირებულებით, დამატებული ან გამოკლებული გარიგების ის დანახარჯები (ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების შემთხვევაში, რომელიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი საწყისი აღიარების შემდგომ კლასიფიცირდება და ფასდება:

- ამორტიზებული ღირებულებით;
- რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით; ან
- რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

წარსადგენ პერიოდში საწარმოს არ გააყენა რეალური ღირებულებით შეაფასებელი ფინანსური აქტივები.

ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარდება მოგებაში და ზარალში, აისახება ფინანსური ხარჯების, ფინანსური შემოსავლების ან სხვა ფინანსურ მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომელიც აისახება სხვა ხარჯების შემადგენლობაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საწარმო იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებით და ზარალის რეზერვს აღრიცხავს თანხით, რომელიც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია. ეს არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოსალოდნელი დეფიციტი ფინანსური ინსტრუმენტის მოქმედების ვადის განმავლობაში.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის მოგებაში ან ზარალში აღიარებს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის ცვლილების ეკვივალენტურ თანხას, გაუფასურების შემოსულობის ან ზარალის სახით.

ფინანსური ვალდებულებები

საწარმოს ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და წარმოდგენილია სავაჭრო ვალდებულებების სახით.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

საწარმოს ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

საკუთარი კაპიტალი

კაპიტალი წარმოადგენს დამფუძნებლის მიერ განხორციელებულ შენატანს მასში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით.

გაუნაწილებელი მოგება მოიცავს საანგარიშგებო და წინა პერიოდებში დაგროვილ და გაუნაწილებელ მოგებას.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. შესაბამისად საიჯარო გადასახდელები იჯარის ვადის განმავლობაში ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდით.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საწარმოს ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

განმარტებითი შენიშვნები

4. ძირითადი საშუალებები

დასახელება	მინა	დაუდგმელი მოყვანილობა	შენიშნა ნაგებობა	მანქანა დანადგარები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	საპროექტო- საძიებო სამუშაოები	სულ
საწყისი (ისტორიული) ღირებულება							
ნაშთი: 31.12.2016	98 762	8 631	813 945	1 809 169	6 744	67 396	2 804 647
აქტივების შეძენა				2 786	1 814	87 312	91 911
აქტივების გასვლა				(2 786)			(2 786)
ნაშთი: 31.12.2017	98 762	8 631	813 945	1 809 169	8 557	154 708	2 893 772
აქტივების შეძენა			2 754			13 968	16 722
აქტივების გასვლა					(340)		(340)
ნაშთი: 31.12.2018	98 762	8 631	816 699	1 809 169	8 218	168 677	2 910 155
აღიარებული ცვეთა							
ნაშთი: 31.12.2016	-	-	54 552	141 226	1 635	-	197 413
ცვეთის დარიცხვა			59 886	156 031	2 062		217 979
ცვეთის ჩამოწერა				(484)			(484)
ნაშთი: 31.12.2017	-	-	114 438	296 773	3 697	-	414 909
ცვეთის დარიცხვა			59 909	154 521	1 796		216 226
ცვეთის ჩამოწერა					(340)		(340)
ნაშთი: 31.12.2018	-	-	174 347	451 295	5 153	-	630 795
საბალანსო ღირებულება							
სნდ-31.12.2016	98762	8631	759393	1667943	5109	67396	2 607 233
სნდ-31.12.2017	98762	8631	699507	1512396	4860	154708	2 478 869
სნდ-31.12.2018	98762	8631	642351	1357874	3065	168677	2 279 360

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

5. სასაქონლო მატერიალური ფასეულობა

	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	ხარჯად აღიარებული მარაგი	5 258	11 150
2	მარაგის ნაშთი წლის დასაწყისში	252 867	240 595
3	მარაგის ნაშთი წლის ბოლოს	249 262	252 867

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	111 554	57 996
2	სხვა მოთხოვნები	10	10
	ჯამი:	111 564	58 006

7. საგადასახადო მოთხოვნები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	მოგების გადასახადი	(44 335)	(36 213)
2	საშემოსავლო გადასახადი	(39 609)	(40 114)
3	დღგ	115 020	115 691
4	ქონების გადასახადი	(15 730)	(17 350)
5	მიწის გადასახადი	(14 627)	(14 715)
	ჯამი:	718	7 299

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

საწარმოს ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკის ანგარიშების ნაშთებს, დეპოზიტებს მოთხოვნამდე.

	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	ფული საბანკო ანგარიშზე - ლარი	3 218	6 007
2	ფული საბანკო ანგარიშზე - ვალუტა	70 917	73 426
	ჯამი:	74 135	79 432

9. აღებული გრძელვადიანი სესხი

	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	საქართველოს ბანკი - სესხის ძირი	-	241 725
	ჯამი:	-	241 725

ძირითადი ინფორმაცია სესხის შესახებ

2014 წლის 30 ოქტომბრს NGCLCA000074777-2258339 ხელშეკრულებით საწარმოს მიღებული აქვს საკრედიტო ხაზი 700 000,0 აშშ დოლარის ოდენობით, რომლიდანაც ათვისებულია 697 320,0 აშშ დოლარის საკრედიტო რესურსი, თანხით 1494002 ლარი. სესხი საწარმოს აღებული აქვს ძირითადი საშუალებების განახლება რეკონსტრუქციის მიზნით. კრედიტის თანხაზე დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი შეადგენს ლიბორის (6 თვეანი) განაკვეთს დამატებული 9,5 % -პროცენტი.

სასესხო შეთანხმების დარღვევა

საკრედიტო ხაზის მოხმარების დარღვევის პირობებია, რეფინანსებული თანხის 2 %-პროცენტი, ვადამდელი დაფარული თანხის 1%-პროცენტი.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
	სავაჭრო ვალდებულებები	6 877	6 572
1	ჯამი:	6 877	6 572

11. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	ანგარიშვალდებული პირები	17	17
2	სესხის მიმდინარე საპროცენტო ვალდებულება	-	262
	ჯამი:	17	279

12. ამონაგები

	დასახელება	2018 წელი	2017 წელი
1	შემოსავალი ელ. ენერგიის მიწოდებით	863 325	818 599
	ამონაგები მიწოდებიდან	863 325	818 599

13. შეძენილი მომსახურების ხარჯები

	დასახელება	2018 წელი	2017 წელი
	ინფრასტრუქტურული ხარჯი	3 594	3 348
1	საიტარო ხარჯი	132	132
2	სწავლება-კვალიფიკაციის ხარჯი	1 831	1 980
3	კომუნიკაციის ხარჯი	141	156
4	დაზღვევის ხარჯი	7 717	8 097
5	საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	10 000	8 475
6	ეკოლოგიური მოსაკრებლის ხარჯი	3 480	3 480
7	სამეურნეო ხარჯი	216	47 937
8	სხვა ხარჯები	309	679
	ჯამი:	27 421	74 284

14. სხვა ხარჯები

	დასახელება	2018 წელი	2017 წელი
1	ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ხარჯი	-	2 032
2	სხვა ხარჯები	7 028	6 312
	ჯამი:	7 028	8 344

15. საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი

	დასახელება	2018 წელი	2017 წელი
1	შემოსულობა საკურსო სხვაობიდან	36 071	115 480
2	ზარალი საკურსო სხვაობიდან	(17 443)	(104 005)
	ჯამი:	18 627	11 475

16. ფინანსურ ინსტრუმენტების რისკები

რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

საწარმო აწყდება ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს. საწარმოს ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია განმარტებითი შენიშვნების მე-15 ნაწილში-რისკის ძირითადი სახეებია საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი.

საწარმოს რისკების მართვა კოორდინირებულია ხელმძღვანელობასთან და ფოკუსირებულია მოკლე და საშუალოვადიანი ფულადი ნაკადების უზრუნველყოფაზე.

საწარმო ჩართული არ არის ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში და მთავარი ფინანსური რისკები რომელსაც კომპანია აწყდება წარმოდგენილია ქვემოთ:

საბაზრო რისკის ანალიზი

საწარმოს საბაზრო რისკები განპირობებულია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით. უფრო კონკრეტულად კი სავალუტო თუ საკრედიტო რისკებით, რაც განპირობებულია მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის მგრძნობელობა

საწარმოს ძირითადი ოპერაციები განხორციელებულია ეროვნულ ვალუტაში, თუმცა საწარმო ფლობს ფულად სახსრებს უცხოური ვალუტაში. სავალუტო რისკების შემცირებისათვის საწარმო მუდმივად ახდენს უცხოურ ვალუტის ფულადი ნაკადების მონიტორინგს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი გულისხმობს, რომ ხელშეკრულების მხარეები ვერ უზრუნველყოფენ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. საწარმო განიცდის საკრედიტო რისკებს ფინანსური აქტივებიდან რომელიც მოიცავს ბანკში განთავსებულ ფულად სახსრებსა და ექვივალენტებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

საკრედიტო რისკების მართვა

საკრედიტო რისკების მართვა ხორციელდება საწარმოს საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკის და პროცედურების შესაბამისად. ბანკში განთავსებული ფულადი სახსრებისა და ექვივალენტების საკრედიტო რისკების მართვა ხორციელდება ფულადი სახსრების განთავსების დივერსიფიკაციით და მსხვილ და სანდრო ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობით. საწარმო მუდმივად აკვირდება კლიენტების საკრედიტო ხარისხს და მისი პოლიტიკაა მხოლოდ ღირსეულ კონტრაქტორებთან ურთიერთობა, საკრედიტო პირობები მოიცავს 30 დღიან დიაპაზონს. მიმდინარე საკრედიტო რისკების მართვა ხორციელდება ხანდაზმულობის ანალიზის და კლიენტების საკრედიტო ლიმიტის მიმოხილვით. საწარმოს მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს მხოლოდ ერთ კლიენტს, რომლესაც ის აწვდის მის მიერ გამომუშავებულ ელექტრო ენერგიას.

საწარმო არ ფლობს სხვა უზრუნველყოფილ ფინანსურ აქტივებს. (მაგ. წარმოებული აქტივები, ბანკში განთავსებული უზრუნველყოფილი ფულადი სახსრები და ექვივალენტები და სხვ.)

საწარმო მიმართავს ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ მოდელს სავაჭრო მოთხოვნასთან მიმართებით, რადგან იგი არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტებს. ეს მოდელი დამყარებულია მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების ცნებაზე ხელშეკრულების ამოქმედებისთანავე; საკრედიტო ზარალის აღიარებამდე აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობის საჭიროება. სავარაუდო საკრედიტო დანაკარგების გაზომვისას, სავაჭრო მოთხოვნა ფასდება ინდივიდუალურად.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება (აღიარების შეწყვეტა) როცა აღარ არსებობს მათი ანაზღაურების გონივრული მოლოდინი ან ანგარიშ-ფაქტურის მიწოდებიდან 180 დღის განმავლობაში ანაზღაურების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რაც გონივრულ ეჭვს ბადებს გადაუხდელობის შესახებ.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს რომ საწარმო ვერ შეასრულებს ნაკირს ვალდებულებებს. საწარმო ხელმძღვანელობა ახორციელებს ვალდებულებების მონიტორინგს, ისევე როგორც ფულადი სახსრების შემოღინებისა ინდივიდუალურად გადინების მონიტორინგს ყოველდღიურ ბიზნეს საქმიანობაში. წმინდა ფულად მოთხოვნებთან შედარებულია ხელმისაწვდომი სესხის აღების საშუალებები, რათა განისაზღვროს საგარანტიო ან რაიმე სხვა სახის ნაკლოვანება. ეს ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხელმისაწვდომი სესხები სავარაუდოდ საკმარისი იქნება მიმდინარე პერიოდში.

საწარმო მიიჩნევს, რომ ფინანსური აქტივებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები შეფასებულია და არ შეიცავს ლიკვიდურობის რისკს. საწარმოს ფულადი სახსრები და სავაჭრო მოთხოვნები უზრუნველყოფს მიმდინარე ფულადი სახსრების მოხმარების მოთხოვნებს.

ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

		ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	ფინანსური აქტივები		
	ფულადი საშუალებები სალაროში და ბანკში	74 135	79 432
	სესხები და მოთხოვნები	111 564	58 006
2	ფინანსური ვალდებულებები		

ამორტიზებადი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები (სავაჭრო ვალდებულებების ჩათვლით)	6 894	248 576
--	-------	---------

საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია სესხებისა და მოთხოვნების მიხედვით. ზემოთ მოტანილი ვალდებულებებისა და მოთხოვნების საბალანსო ღირებულება ასახავს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

კაპიტალის მართვა

საწარმო კაპიტალს მართავს უახლოეს მომავალში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საკუთარი საშუალებების ოპტიმიზაციის გზით საწარმოს მფლობელთა მოგების მაქსიმალიზაციის მისაღწევად. საწარმოს კაპიტალის სტრუქტურა მოიცავს საკუთარ კაპიტალს (რომელშიც შედის საწესდებო კაპიტალი, რეზერვები, გაუნაწილებელი მოგება და არამაკონტროლებელი წილი).

კაპიტალის მინიმალურ რაოდენობაზე სავალდებულო მოთხოვნა არ არსებობს.

კაპიტალის სტრუქტურის შეფასება ხდება ყოველწლიურად. ასეთი შეფასების ფარგლებში ტარდება კაპიტალის ღირებულების და კაპიტალის ყოველ კლასთან დაკავშირებული რისკის გაანალიზება.

საწარმო ახორციელებს კაპიტალის სტრუქტურის მართვას და ცლილებებს ახდენს ეკონომიკური პირობებისა და მასზე დაქვემდებარებული აქტივების რისკების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შესანარჩუნებლად ან შესაცვლელად საწარმოს შეუძლია შეცვალოს დამფუძნებლებისათვის გადასახდელი დივიდენდის ოდენობა ან დაუბრუნოს კაპიტალი.

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ა) შპს „მცირე ენერჯი“ - მაკონტროლებელი ურთიერთობები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს კაპიტალის 100%-ის მფლობელია ერთი იურიდიული პირი, შპს „მცირე ენერჯი“ ფლობს შპს „პრაიმ ენერჯის“ კაპიტალის 100%-ს.

ბ) ოპერაციები ხელმძღვანელობასთან

შემდეგ ცხრილში მოტანილია ინფორმაცია საწარმოს ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურების შესახებ.

	2018 წელი	2017 წელი
	ლარი	ლარი
ხელფასები	7500	7500
პრემია	-	625

გ) 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციები გაცემული აქვს ინვესტიციის შევსების და შემცირების ნაწილში, ასევე შპს „პრაიმ ენერჯის“ გაუნაწილებელი მოგებიდან მიღებული აქვს 2018 წელს დივიდენდი.

	2018 წელი	2017 წელი
ინვესტიციის მოცულობა ლარში	226 617	10 000
შევსება/შემცირება	(122 890)	(111 440)
ინვესტიცია პერიოდის ბოლოს	1 771 368	1 667 641
გადახდილი დივიდენდი	170 051	90 000

18. რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს საწარმოს წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

საწარმოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია რისკების მართვის სტრუქტურისა და ძირითადი რისკების მართვის ზედამხედველობაზე, რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების განახლებაზე და საწარმოზე არსებითი გავლენის მქონე რისკების დამტკიცებაზე.

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს „პრაიმ ენერჯის“ დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 15 აპრილს.

№ 17-04/2019

„15“ 04 2019წ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის
ანგარიში

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „პრაიმ ენერჯი“-ს (შემდგომში „საწარმო“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასებაზე და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით, თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში საწარმოს ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- საწარმოს ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ასახავს საწარმოს გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- საწარმოს აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება საწარმოს დირექტორის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2019 წლის 15 აპრილს.

პატივისცემით

დირექტორი
მ. ზოგინჯილი
15.04.2019 წ.



ს/კ 404 390 538

სს „საქართველოს ბანკი“ ა/ა - GE21BG0000000785530100 BAGAGE22

სს „ბანკი რესპუბლიკა“ ა/ა - GE81BR0000010921198212 REPLGE22

დამოუკიდებელი აუდიტორის

დასკვნა

შპს „პრაიმ ენერჯი“-ს დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „პრაიმ ენერჯი“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „პრაიმ ენერჯი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ შპს „პრაიმ ენერჯი“-საგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „პრაიმ ენერჯი“-ს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის

გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „პრაიმ ენერჯი“-ს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „პრაიმ ენერჯი“-ს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს „პრაიმ ენერჯი“-ს უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, ხელმძღვანელობას გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და ხელმძღვანელობას ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

აუდიტორი
კ. დათიაშვილი



15.04.2019წ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	2 279 360	2 478 869
სულ გრძელვადიანი აქტივი		<u>2 279 360</u>	<u>2 478 869</u>
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5	249 262	252 867
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	111 564	58 006
საგადასახადო მოთხოვნები	7	718	7 299
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	8	74 135	79 432
სულ მიმდინარე აქტივები		<u>435 679</u>	<u>397 604</u>
სულ აქტივები		<u>2 715 039</u>	<u>2 876 473</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		1 771 368	1 667 641
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		<u>936 777</u>	<u>693 721</u>
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>2 708 145</u>	<u>2 361 362</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	9	-	241 725
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			<u>241 725</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	6 877	6 572
გრძ. სესხის მიმდინარე ვალდებულება		-	266 535
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	<u>17</u>	<u>279</u>
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>6 894</u>	<u>273 385</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>2 715 039</u>	<u>2 876 473</u>

დირექტორი



მ. ზოგიშვილი



სრული შემოსავლების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2018	31.12.2017
ამონაგები	12	863 325	818 599
კაპიტალიზებული შემოსავლები		-	87 312
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		(3 605)	12 273
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეძენა		(1 653)	(23 422)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(157 100)	(167 000)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(216 226)	(217 974)
შეძენილი მომსახურების ხარჯი	13	(27 421)	(74 284)
საგადასახადო ხარჯი		(41 816)	(42 548)
სხვა ხარჯი	14	(7 028)	(8 344)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		<u>408 476</u>	<u>384 612</u>
საკუროს სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი	15	18 627	11 475
ფინანსური ხარჯი		(13 992)	(58 699)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		<u>413 111</u>	<u>337 388</u>
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		<u>413 111</u>	<u>337 388</u>

დირექტორი



მ. ბოგიშვილი



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ კაპიტალი
31.12.2016 წაშთი	1 769 081	446 333	2 215 414
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	(101 440)	-	(101 440)
გაცემული დივიდენდი	-	(90 000)	(90 000)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	337 388	337 388
31.12.2017 წაშთი	1 667 641	693 721	2 361 362
გასული პერიოდის შესწორება	-	(5)	(5)
გადაანგარიშებული წაშთი	1 667 641	693 716	2 361 357
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	103 727	-	103 727
გაცემული დივიდენდი	-	(170 051)	(170 051)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	413 111	413 111
31.12.2018 წაშთი	1 771 368	936 777	2 708 145

დირექტორი



მ. ზოგიშვილი



ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	31.12.2018	31.12.2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	810 686	838 324
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(33 580)	(53 788)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(126 280)	(102 700)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	<u>650 826</u>	<u>681 836</u>
გადახდილი გადასახდების დაბრუნება	-	-
გადახდილი გადასახდები	(69 400)	(64 674)
<i>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</i>	<u><u>581 426</u></u>	<u><u>617 162</u></u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(16 722)	(74 531)
მიღებული/გადახდილი დივიდენდი	(170 051)	(90 000)
<i>საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</i>	<u><u>(186 773)</u></u>	<u><u>(164 531)</u></u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის შევსება/შემცირება	103 727	(101 440)
სესხის მიღება/დაფარვა	(482 796)	(236 299)
სესხის პროცენტის დაფარვა	(14 244)	(58 437)
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	1 930	4 425
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(8 567)	(15 588)
<i>საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</i>	<u><u>(399 950)</u></u>	<u><u>(407 339)</u></u>
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	<u><u>(5 297)</u></u>	<u><u>45 292</u></u>
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	<u>79 432</u>	<u>34 140</u>
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	<u>74 135</u>	<u>79 432</u>

დირექტორი



მ. ბოგიშვილი

